

სამართლებრივი ადვოკატთა ასოციაცია
GEORGIAN BAR ASSOCIATION

WWW.GBA.GE



GBA-Newsletter

ოქტომბერი 2017

ქართველი ადვოკატების ახალი შესაძლებლობები -
ისრაელის ადვოკატთა ასოციაციასთან მემორანდუმი
გაფორმდა



2017 წლის 31 ოქტომბერს ისრაელში, ქ. თელ-ავივში ისრაელისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციების საერთაშორისო ურთიერთობათა მდივნებმა - თამარ საკერდოტმა და დავით ასათიანმა ასოციაციაციებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს.

გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა დაგროვილი გამოცდილების, საუკეთესო პრაქტიკისა და ინფორმაციათა გაზიარება იურიდიული პროფესიის გაძლიერების მიზნით, შეხვედრების მუდმივი ფორმირება განგრძობადი იურიდიული განათლების მხარდაჭერისათვის.

ამავე მემორანდუმით მხარეებმა დაგეგმეს იურიდიული ფირმებისა და კერძო პრაქტიკის მქონე ადვოკატთა ქსელის შექმნა ორ ქვეყანას შორის ადვოკატთა ურთიერთკავშირის გაძლიერებისათვის. მუდმივ ხასიათს მიიღებს ხელმძღვრე ასოციაციებს შორის სამართლისა და ადვოკატის პროფესიის აქტუალურ საკითხებზე კონფერენციების, სამუშაო შეხვედრებისა და სემინარების ორგანიზება როგორც ადვოკატების, ასევე ბიზნესის წარმომადგენლებისა და ინვესტორების მონაწილეობით.

მემორანდუმი საქართველოს და ისრაელის ადვოკატებს ფართო შესაძლებლობას აძლევს, აიმაღლონ კვალიფიკაცია და მიიღონ ორივე სახელმწიფოში აკრედიტებული სერტიფიკატები და გაიზიარონ საერთაშორისო გამოცდილება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის უპრეცედენტო მიღწევა, რომელიც გულისხმობს ისრაელის ადვოკატებისა და საადვოკატო ბიუროების მხრიდან საქართველოს მოქალაქეების, მათ შორის ტურისტების, ემიგრანტების, ვიზიტორების სამართლებრივ მხარდაჭერას ისრაელის ტერიტორიაზე და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თავად ისრაელის ადვოკატთა ასოციაციის სათანადო ჩართულობას ისრაელის საელჩოს მეშვეობით.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით მოლაპარაკებებს აწარმოებდა ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობათა მდივანი, დავით ასათიანი. “მინდა ჩვენი კორპუსის წევრებს მივულოცო ეს წარმატება და აქვე დავძენ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია - მემორანდუმის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება დაიგეგმა, რაც კიდევ ერთი შესაძლებლობაა ქართველი ადვოკატებისათვის მიიღონ საერთაშორისო გამოცდილება და მხარდაჭერა” - განაცხადა დავით ასათიანმა.

თელავში ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა ადვოკატებთან შეხვედრა გამართა



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი, საერთაშორისო მდივანი დავით ასათიანი და საგანმანათლებლო საბჭოს წევრი ირაკლი ყანდაშვილი კახეთში დასაქმებულ ადვოკატებს შეხვდნენ.

შეხვედრის მიზანი საქართველოს კონსტიტუციაში შესული ცვლილებების, ადვოკატის პროფესიასთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ უკვე გატარებული და დაგეგმილი ცვლილებების გაცნობა, „ადვოკატთა შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები, ეთიკის კომისიის გაძლიერება და ადვოკატთა უმაღლესი სკოლის ფორმირების ადვოკატებისთვის გაცნობა იყო.

ზაზა ხატიაშვილის განცხადებით, შეიქმნება ადვოკატთა სკოლა, რომლის გავლაც ყველა ადვოკატობის მსურველისთვის იქნება აუცილებელი.

“ადვოკატთა ასოციაციის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა, არის რევოლუციური, ფაქტობრივად კანონში ადვოკატის დაცვის მექანიზმი იმავე ხარისხშია აყვანილი, როგორც მოსამართლის. ანალოგიური სისტემა მხოლოდ მსოფლიოს 5 ქვეყანაშია დანერგილი და მათ შორისაა საქართველოც. გარდა ამისა, ჩვენ გადავდივართ ფრანგულ მოდელზე და შეიქმნება ადვოკატთა სკოლა, რომლის გავლაც ყველა ადვოკატობის მსურველისთვის იქნება აუცილებელი”, - განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა.

ზაზა ხატიაშვილმა ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემის საქმეზე გამოტანილ განაჩენთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართა



25 ოქტომბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ და ადამიანის უფლებათა ცენტრმა გიორგი მდინარაძის ცემის საქმეზე გამოტანილი განაჩენი პრესკონფერენციაზე გააპროტესტა.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის განცხადებით : „მოსამართლე ლილი მსხილაძემ დაარღვია სტრასბურგის სასამართლოს დადგენილი პრაქტიკა, გამოიტანა საოცარი განაჩენი და პოლიციელის მიერ ადვოკატ გიორგი მდინარაძის მიმართ ჩადენილი, ჩემი შეფასებით, წამების ფაქტი შეაფასა 10 000 ლარიანი ჯარიმით“.

2017 წლის 23 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემის ფაქტთან დაკავშირებით ბრალდებული ლაშა კვიციანიას სასჯელის სახედ 10000 ლარიანი ჯარიმის გადახდა დააკისრა.

ადვოკატი საქართველოს კონსტიტუციაში შესულ ცვლილებებს გაეცნენ



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი, საერთაშორისო მდივანი დავით ასათიანი და საგანმანათლებლო საბჭოს წევრი ირაკლი ყანდაშვილი აჭარაში დასაქმებულ ადვოკატებს შეხვდნენ.

შეხვედრის მიზანი ადვოკატებისთვის კონსტიტუციაში შესული ცვლილებების, ადვოკატის პროფესიასთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ უკვე გატარებული და დაგეგმილი ცვლილებების გაცნობა იყო.

ზაზა ხატიაშვილის განცხადებით, შეიქმნება ადვოკატთა სკოლა, რომლის გავლაც ყველა ადვოკატობის მსურველისთვის იქნება აუცილებელი.

“ადვოკატთა ასოციაციის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა, არის რევოლუციური, ფაქტობრივად კანონში ადვოკატის დაცვის მექანიზმი იმავე ხარისხშია აყვანილი, როგორც მოსამართლის. ანალოგიური სისტემა მხოლოდ მსოფლიოს 5 ქვეყანაშია დანერგილი და მათ შორისაა საქართველოც. გარდა ამისა, ჩვენ გადავდივართ ფრანგულ მოდელზე და შეიქმნება ადვოკატთა სკოლა, რომლის გავლაც ყველა ადვოკატობის მსურველისთვის იქნება აუცილებელი”, - განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა.

გერმანელი და ქართველი ადვოკატები გერმანიასა და საქართველოში მედიაციის აქტუალურ საკითხებზე მსჯელობენ



18 ოქტომბერს სასტუმროში „ქორთიარდ მარიოტი“ ორდღიანმა საერთაშორისო კონფერენციამ „მედიაცია გერმანიასა და საქართველოში“ დაიწყო მუშაობა.

კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს თბილისში ეკონომიკის, სამართლისა და საკონსულო საქმეთა განყოფილების უფროსმა ბ-ნი იოაჰიმ ჰექერმა, გერმანიის ადვოკატთა ფედერალური პალატის აღმასრულებელმა დირექტორმა, ადვოკატმა ვერონიკა ჰორერმა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრმა ადვოკატმა დავით ასათიანმა.

კონფერენციაზე განიხილეს მედიაცია გერმანიასა და საქართველოში, მედიატორის საქმიანობის პროფესიულ-სამართლებრივი ასპექტები, მედიაციის კანონი, მედიაციის პრაქტიკული მოდელები: საპროცესო რისკების ანალიზი, როგორც მედიაცია/პირველი შეხება მედიაციასთან/კითხვები/კაზუსები.

კონფერენცია ორგანიზებული იყო გერმანიის ადვოკატთა ფედერალური პალატის, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის(IRZ), საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა იმერეთში მოღვაწე ადვოკატებთან შეხვედრა გამართა

18 ოქტომბერს სასტუმროში „ქორთიარდ მარიოტი“ ორდღიანმა საერთაშორისო კონფერენციამ „მედიაცია გერმანიასა და საქართველოში“ დაიწყო მუშაობა.

კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს თბილისში ეკონომიკის, სამართლისა და საკონსულო საქმეთა განყოფილების უფროსმა ბ-ნი იოაჰიმ ჰეჟერმა, გერმანიის ადვოკატთა ფედერალური პალატის აღმასრულებელმა დირექტორმა, ადვოკატმა ვერონიკა ჰორერმა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრმა ადვოკატმა დავით ასათიანმა.

კონფერენციაზე განიხილეს მედიაცია გერმანიასა და საქართველოში, მედიატორის საქმიანობის პროფესიულ-სამართლებრივი ასპექტები, მედიაციის კანონი, მედიაციის პრაქტიკული მოდელები: საპროცესო რისკების ანალიზი, როგორც მედიაცია/პირველი შეხება მედიაციასთან/კითხვები/კაზუსები.

კონფერენცია ორგანიზებულია გერმანიის ადვოკატთა ფედერალური პალატის, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის(IRZ), საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ევროპის ადვოკატთა ასოციაციის (aea-eal) წევრი გახდა



Avocats / Lawyers

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არის პირველი არაევროკავშირის წევრი ქვეყნიდან, რომელიც გახდა ევროპის ადვოკატთა ასოციაციის (aea-eal) სრული წევრი. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ შექმნა პრეცედენტი და სხვა არაევროკავშირის წევრ ქვეყნებს გაუხსნა გზა გახდნენ ევროპის ადვოკატთა ასოციაციის წევრები.

ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი მარია სლაზაკი წერილში აღნიშნავს: „მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ჩვენი ასოციაციის შეცვლილი დებულების თანახმად, ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების ადვოკატთა ასოციაციებს და ადვოკატებს, უფლება აქვთ გაწევრიანდნენ სრული წევრის სტატუსით. შესაბამისად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია მიღებულ იქნა ევროპის ადვოკატთა ასოციაციაში სრული წევრის სტატუსით.

ევროპის ადვოკატთა ასოციაციის სახელით, მაქვს პატივი, თქვენ და ქართველი ადვოკატები მიგიღოთ ჩვენს კოლეგებად და მეგობრებად, რომლებიც ვიზიარებთ ერთიანი, ევროპული იურიდიული პროფესიის ღირებულებებს.

ვიმედოვნებ, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა გააღრმავებს ჩვენს ურთიერთობებს და წვლილს შეიტანს ახალი იდეების და ერთობლივი პროექტების რეალიზაციაში, რაც არამხოლოდ ჩვენი ასოციაციებისთვის იქნება სასარგებლო, არამედ, ასევე, სხვა ქვეყნების ადვოკატებისთვის, რომლებიც საჭიროებენ ჩვენს დახმარებას”.

ადვოკატთა ევროპული ასოციაცია (EAL) დაფუძნდა 1986 წელს. პროფესიული გაერთიანება მოწოდებულია ხელი შეუწყოს ევროპის წევრი ქვეყნებისა და ასოციაციის წევრი ადვოკატთა ასოციაციების განვითარებას.

30 წელზე მეტია, ევროპის სხვადასხვა კუთხეში, ასოციაცია ორგანიზებას უწევს თემატურ სემინარებს და კონფერენციებს. ეს მოვლენები ხელს უწყობს საზოგადოების იდენტობის განვითარებას ევროპულ ადვოკატთა შორის, ისინი ასევე უზრუნველყოფენ გამოცდილების გაზიარებას.

ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭო (CCBE) პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძეს საქართველოს პარლამენტის მიერ კონსტიტუციური კანონის პროექტის მესამე მოსმენით მიღებას ულოცავს.



ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭო (CCBE) წერილში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქცია ადვოკატთა უფლებებისა და იურისტთა თვითრეგულაციების შესახებ ახალ თავებს მოიცავს, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობის გაძლიერებაში.

„ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭოსთვის (CCBE) ცნობილი გახდა, რომ 2017 წლის 26 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტმა ახალი კონსტიტუცია მიიღო. გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას. CCBE აცნობიერებს და აფასებს საქართველოს პარლამენტის საქმიანობას დემოკრატიული ფასეულობების, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის განვითარებისა და გაღრმავების საქმეში. მოხარული ვართ იმ ფაქტით, რომ ახალი კონსტიტუცია მოიცავს თავებს ადვოკატთა უფლებებისა და იურისტთა თვითრეგულაციების შესახებ, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იურისტის პროფესიის დამოუკიდებლობის გაძლიერებასა და დემოკრატიულ საზოგადოებაში იურისდიქციის სათანადო ადმინისტრირებისთვის. ეს შეუძლებელი იქნებოდა ღია და გულწრფელი თანამშრომლობის გარეშე საქართველოს პარლამენტს, კონკრეტულად კი პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტსა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას შორის. CCBE მაღალ შეფასებას აძლევს ამ თანამშრომლობასა და იმ ფაქტს, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას მიეცა შესაძლებლობა, იურიდიული პროფესიის კონსტიტუციური ჩარჩოს ფორმირებაში საკუთარი წვლილი შეეტანა.

CCBE ასევე დადებითად აფასებს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ინიციატივას „ადვოკატთა შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელიც სავალდებულო სტაჟირების (საწყისი ტრენინგი) შემოღებას, ადვოკატთა უმაღლესი სკოლის დაარსებასა და ადვოკატთა პროფესიული გარანტიების კიდევ უფრო გაძლიერებას ითვალისწინებს. CCBE კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალი კონსტიტუციის მიღებას. იმედი გვაქვს, რომ აღნიშნული თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება“-ნათქვამია ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭოს პრეზიდენტის, რატვენ გემელის მიერ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისთვის გაგზავნილ წერილში.

ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭო (CCBE) წარმოადგენს 32 წევრი და 13 ასოცირებული და დამკვირვებელი ქვეყნის ადვოკატთა და იურიდიულ საზოგადოებებს და მათი მეშვეობით, მილიონზე მეტ ევროპელ ადვოკატს აერთიანებს. CCBE ევროპისა და საერთაშორისო ინსტიტუტებში ევროპის ადვოკატთა და იურიდიული პროფესიის საერთო ინტერესებს წარმოადგენს.

სასწავლოცენტრი

2017 წლის ოქტომბერში განხორციელებული საგანმანათლებლო ღონისძიებები

თბილისი

- 3 ოქტომბერი – ადვოკატთა პროფესიული ეთიკა (2017 წლის მოდული);
- 9 ოქტომბერი – მტკიცებულებების მოპოვება დაცვის მხარის მიერ;
- 12 ოქტომბერი – სოციალური შედეგათები;
- 13 ოქტომბერი – სამართლებრივი დასაბუთება და მართლწერა;
- 16–17 ოქტომბერი – ცალკეულ დანაშაულთა საგამომიებო მეთოდოლოგია;
- 17 ოქტომბერი – საკუთრების უფლების გადაცემის ხელშეკრულების რეგულირება სასამართლო პრაქტიკაში;
- 18–19 ოქტომბერი – ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში;
- 18–19 ოქტომბერი – დაქტილოსკოპია, ტრანსოლოგია, ბალისტიკა;
- 20 ოქტომბერი – საგადასახადო სამართალი;
- 20 ოქტომბერი – საპროცესო შეთანხმება და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები;
- 23 ოქტომბერი – ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები;
- 24 ოქტომბერი – ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები;
- 25–26–27 ოქტომბერი – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სპეციალიზებული კურსი);
- 26 ოქტომბერი – ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი რეგულირება.
- 28–29–30 – ევროპული კონვენცია და აქტუალური სამართლებრივი საკითხები;
- 30 ოქტომბერი – მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში;
- 31 ოქტომბერი – ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები;

ქუთაისი

- 27 ოქტომბერი – ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები;
- 30 ოქტომბერი – სანივთო სამართალი (გირავნობა/იპოთეკა, საკუთრების აღიარებისა და რეგისტრაციის საკითხები).

2017 წლის ნოემბერში დაგეგმილი საგანმანათლებლო ღონისძიებები

თბილისი

- 3–4–5 ნოემბერი – ევროპული კონვენცია და აქტუალური სამართლებრივი საკითხები;
- 4–5–6 ნოემბერი – ევროპული კონვენცია და აქტუალური სამართლებრივი საკითხები;
- 5–6–7 ნოემბერი – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება;
- 13 ნოემბერი – ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი რეგულირება;
- 14 ნოემბერი – საკუთრების უფლების გადაცემის ხელშეკრულების რეგულირება სასამართლო პრაქტიკაში;
- 15 ნოემბერი – სოციალური შედავათები;
- 17 ნოემბერი – ვადები და ხანდაზმულობა;
- 20 ნოემბერი – ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები;
- 20 ნოემბერი – მტკიცებულებების მოპოვება დაცვის მხარის მიერ;
- 27 ნოემბერი – მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში.

თელავი

- 4–5–6– ნოემბერი – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.

ქუთაისი

- 4 ნოემბერი – სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გარიგების ფორმა და საცილო გარიგებები;
- 8–9 ნოემბერი – ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში; დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
ტელ: 2 987878 / +995 555070786 / +995 555010605 / +995 555007708
ელ. ფოსტა: sascavlocentri@gba.ge/education@gba.ge
სამუშაო საათებია 10:00-დან 18:00 საათამდე / შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე.
მისამართი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #33

თბილისი

ძმ. ზუბალაშვილების ქ. N36

ტელ.: (+99532) 222 46 54

ელ. ფოსტა: info@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

ქუთაისი

ნოდარ დუმბაძის ქ. N8

ტელ.: (0431) 247 247

ელ. ფოსტა: info.qutaisi@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

თელავი

ვარდოშვილის 15

ტელ.: (0350) 272 015

ელ. ფოსტა: info.telavi@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

ბათუმი

სარაჯიშვილის ქ. 22

ტელ.: (0422) 29 29 02

ელ. ფოსტა: info.batumi@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი

ტელ: (+995 32) 2987878 / 555070786 / 555010605 / 555007708

ელ. ფოსტა: education@gba.ge / sascavlocentri@gba.ge

სამუშაო საათებია 10:00-დან 18:00 საათამდე

შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #33